

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	10
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	10
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11
9. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	11
10. ძირითადი საშუალებები	12
11. საინვესტიციო ქონება	12
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	13
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
15. კაპიტალი	14
16. საგადასახადო ვალდებულებები	14
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
18. პირობითი ვალდებულებები	14
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	15
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	17
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	18
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	18
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	18
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	18
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„შპს თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“-ს (შემდგომში ასევე კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 17-20 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო წარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

26 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

26 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო.



შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	88,913,903	21,684,931
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(74,325,809)	(20,796,512)
საერთო მოგება		14,588,094	888,419
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	7	(7,140,548)	(70,923)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,539,336)	(1,528,534)
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(318,095)	-
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	11	(186,000)	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		5,404,115	(711,038)
ფინანსური შემოსავალი		9,988	7,199
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	9	(2,116,785)	(97,604)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		3,297,318	(801,443)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		3,297,318	(801,443)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 26 სექტემბერს:

ზურაბ ანთელიძე
დირექტორი

ნანა ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“


მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	88,913,903	21,684,931
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(74,325,809)	(20,796,512)
საერთო მოგება		14,588,094	888,419
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	7	(7,140,548)	(70,923)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,539,336)	(1,528,534)
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(318,095)	-
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	11	(186,000)	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		5,404,115	(711,038)
ფინანსური შემოსავალი		9,988	7,199
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	9	(2,116,785)	(97,604)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		3,297,318	(801,443)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		3,297,318	(801,443)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 26 სექტემბერს:


ზურაბ ანთელიძე
დირექტორი


ნანა ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	1,869,191	2,067,634	1,728,306
საინვესტიციო ქონება	11	1,621,000	-	-
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	11	-	1,805,000	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,490,191	3,872,634	1,728,306
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	689	1,190,569	61
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	7,988,776	4,291,930	1,159,948
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	4,727,064	714,188	3,112,852
სულ მიმდინარე აქტივები		12,716,529	6,196,687	4,272,861
სულ აქტივები		16,206,720	10,069,321	6,001,167
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	14,062,229	16,423,368	8,103,558
დაუფარავი ზარალი	15	(3,346,273)	(6,643,591)	(5,842,148)
სულ კაპიტალი		10,715,956	9,779,777	2,261,410
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	16	268,100	201,521	784,736
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	5,222,664	88,023	2,955,021
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,490,764	289,544	3,739,757
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,206,720	10,069,321	6,001,167

5-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	8,103,558	(5,842,148)	2,261,410
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8,319,810	-	8,319,810
წლის სრული ზარალი	-	(801,443)	(801,443)
31 დეკემბერი 2021	16,423,368	(6,643,591)	9,779,777
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,361,139)	-	(2,361,139)
წლის სრული შემოსავალი	-	3,297,318	3,297,318
31 დეკემბერი 2022	14,062,229	(3,346,273)	10,715,956

5-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	3,297,318	(801,443)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	399,341	378,242
საპროცენტო შემოსავალი	(9,988)	(7,199)
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	318,095	-
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	186,000	-
საკურსო (მოგება)/ზარალი	2,116,785	97,604
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	6,307,551	(332,796)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები მარაგებში	1,189,880	(1,190,508)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(5,085,639)	(3,173,833)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	4,933,463	(2,845,655)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	66,579	(583,215)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	7,411,834	(8,126,007)
მიღებული პროცენტი	9,988	7,199
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	7,421,822	(8,118,808)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(518,993)	(717,570)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	-	(1,805,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(518,993)	(2,522,570)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(2,361,139)	8,319,810
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	(2,361,139)	8,319,810
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	4,541,690	(2,321,568)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	714,188	3,112,852
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად ნაკადებზე	(528,814)	(77,096)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,727,064	714,188

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2015 წლის 26 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404504229.

ძირითადი საქმიანობა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის შეძენა და მისი რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლეონიძის ქუჩა (ყოფილი კიროვი), N 2 /გ .ტაბიძის ქუჩა, N1, სართული 3, ნიშნული +9.

კომპანიის მეწილეები:

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიის 100% წილის მფლობელია ვლადიმერ პატარიძე.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთეულებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამოწვევები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დამტკიცებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2021 წლის 1 იანვრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
1 იანვარი 2021	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნაღებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისთვის, ის ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით. წარდგენილი საინვესტიციო ქონება შეფასებულია რეალური ღირებულებით.

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხვერება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანია ახდენს ელექტროენერგიის შესყიდვას და მიწოდებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის ;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.
- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა.** ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივი, კერძოდ მიწა, შეფასებულია რეალური ღირებულებით.

არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)

დონე 2: იდენტური აქტივის (ან ანალოგიური აქტივის) მზოჭავი ნასყიდობის ხელშეკრულების, ან ბოლო გარიგების ფასი, რომელიც განხორციელებულია „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის.

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დონე 3: შეფასების სხვა მეთოდების გამოყენებით, რომლის მიზანია იმის დადგენა, რა იქნებოდა შეფასების თარიღისთვის გარიგების ფასი „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ გაცვლაში, რომელიც მოტივირებული იყო ნორმალური კომერციული მოსაზრებებით.

საინვესტიციო ქონების შეფასებისთვის გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების დადგენის პირველი დონის მეთოდოლოგია.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ტიპების მიხედვით შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან	86,645,895	16,434,016
შემოსავალი ლითონის გლინულების გაყიდვიდან	2,268,008	5,250,915
სულ	88,913,903	21,684,931

2021-2022 წლებში ერთჯერადად განხორციელდა ლითონის გლინულის შესყიდვა შემდგომში რეალიზაციის მიზნით.

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
ადგილობრივი	24,180,145	16,434,016
ექსპორტი	62,465,750	-
სულ	86,645,895	16,434,016

2022 წელს ექსპორტი განხორციელებულია თურქეთის ტერიტორიაზე.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	(72,139,996)	(16,082,040)
გაყიდული ლითონის გლინულების თვითღირებულება	(2,185,813)	(4,714,472)
სულ	(74,325,809)	(20,796,512)

გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება მოიცავს ელექტროენერგიის შესყიდვის ფასს და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს.

7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხარჯი	(7,137,242)	(70,923)
სხვა ხარჯები	(3,306)	-
სულ	(7,140,548)	(70,923)

შპს „თბილისის საინჟინერო-კონსტრუქციო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი (გაგრძელება)

გადაცემისა და დისპერეზიზაციის ხარჯი მოიცავს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის (შემდგომში სსე) გადახდილ მომსახურების საფასურს, რომელიც გულისმობს სსე-ს კუთვნილი ელექტროენერგიის გადამცემი ხაზებით სარგებლობას თურქეთის საზღვრამდე.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
საიჯარო ქირა	(518,536)	(572,538)
ცვეთა და ამორტიზაცია	(399,342)	(378,242)
შრომის ანაზღაურება	(388,524)	(393,347)
საწვავის ხარჯი	(76,948)	(59,804)
მანქანის რემონტი	(36,113)	(9,460)
საოფისე ხარჯები	(29,488)	(16,876)
სხვა	(90,385)	(98,267)
სულ	(1,539,336)	(1,528,534)

9. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

2022 წლის საკურსო სხვაობის ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	521,554	89,386	229,786	840,726
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(1,050,368)	(1,476,179)	(430,964)	(2,957,511)
წმინდა საკურსო მოგება (ზარალი)	(528,814)	(1,386,793)	(201,178)	(2,116,785)

2021 წლის საკურსო სხვაობის ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	77,692	26,038	139,183	242,913
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(154,788)	(67,889)	(117,840)	(340,517)
წმინდა საკურსო მოგება (ზარალი)	(77,096)	(41,851)	21,343	(97,604)

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	სულ
1 იანვარი 2021	1,369,679	436,334	431,171	2,237,184
შემოსვლა	665,110	-	52,460	717,570
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	2,034,789	436,334	483,631	2,954,754
შემოსვლა	2,727,896	-	17,285	2,745,181
გასვლა/ჩამოწერა	(2,617,751)	-	-	(2,617,751)
31 დეკემბერი 2022	2,144,934	436,334	500,916	3,082,184
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2021	(169,769)	(92,541)	(246,568)	(508,878)
ცვეთის ხარჯი	(268,245)	(21,952)	(88,045)	(378,242)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(438,014)	(114,493)	(334,613)	(887,120)
ცვეთის ხარჯი	(294,527)	(20,319)	(84,495)	(399,341)
გასვლა/ჩამოწერა	73,468	-	-	73,468
31 დეკემბერი 2022	(659,073)	(134,812)	(419,108)	(1,212,993)
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2021	1,199,910	343,793	184,603	1,728,306
31 დეკემბერი 2021	1,596,775	321,841	149,018	2,067,634
31 დეკემბერი 2022	1,485,861	301,522	81,808	1,869,191

სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელსაც კომპანია იყენებს საქმიანობაში შეადგენს 288,789 ლარს (2021: 38,593 ლარი; 2020: 0 ლარი)

2022 წელს რეალიზებულია 2022 წელს და გასულ წლებში შეძენილი სატრანსპორტო საშუალებები, რომლის შედეგად მიღებული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

11. საინვესტიციო ქონება

კომპანიამ 2022 წელს შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგმარეობით კლასიფიცირებულია როგორც საინვესტიციო ქონება, ვინაიდან არ გამოიყენება ძირითად საქმიანობაში. აღნიშნული მიწის შეძენისათვის კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ქონდა ავანსი, 1,805,000 ლარის ოდენობით.

მიწის რეალური ღირებულება შეფასებულია საბაზრო მიდგომის გამოყენებით დამოუკიდებელი და კვალიფიციური შემფასებლის მიერ. რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება ობიექტის სექტორში არსებული შესადარისი ანალოგიური ობიექტებით, რომელთა გაყიდვის ან შეთავაზების ფასები ცნობილია. ბოლო შეფასება მოხდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მიწა თვითღირებულების მოდელით რომ შეფასებულიყო, საბალანსო ღირებულება წარმოდგენილი იქნებოდა შემდეგნაირად:

თვითღირებულება	1,807,000
დაგროვილი ცვეთა	-
საბალანსო ღირებულება	1,807,000

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

რეალური ღირებულებით შეფასებული	1,621,000
თვითღირებულება	(1,807,000)
ცვლილებები რეალური ღირებულებით შეფასების შედეგად	(186,000)

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო-ენერგიის ყიდვა-გაყიდვა. როგორც შესყიდვის, ასევე გაყიდვის წერტილი არის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელ.ენერგიის სალტზე გაშვება. შესაბამისად მარაგებზე კონტროლის მიღება და შემდგომ მომხმარებელზე გადაცემა ხდება ერთდროულად.

კომპანია 2021-2022 წლებში გარდა ელექტროენერგიით ვაჭრობისა, ახორციელებდა ლითონის გლინულების შემოტანა რელიზაციას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთი 1,190,569 ლარის ოდენობით, სრულად არის რელიზებული 2022 წელს.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	3,588,564	1,483,316	943,991
გადახდილი ავანსი	7,010,966	5,419,368	2,826,711
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	10,599,530	6,902,684	3,770,702
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(2,610,754)	(2,610,754)	(2,610,754)
სულ	7,988,776	4,291,930	1,159,948

მიმდინარე და ვადაგადაცილებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,988,776	4,291,930	1,159,948
ვადაგადაცილებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,610,754	2,610,754	2,610,754
სულ	10,599,530	6,902,684	3,770,702

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	-	17,780	18,424
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	411,879	54,496	3,282
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	2,843,521	10,171	1,065,554
მოკლევადიანი დეპოზიტები	1,471,664	631,741	2,025,592
სულ	4,727,064	714,188	3,112,852

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

კომპანიას აქვს მოკლევადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 498,756 ლარის ოდენობით, (2021: 89,414 ლარი; 2020: 180,890 ლარი) წლიური 2% იანი საპროცენტო სარგებლით

კომპანიას აქვს მოკლევადიანი დეპოზიტები უცხოულ ვალუტაში 972,908 ლარის ოდენობით, (2021: 542,328 ლარი; 2020: 1,844,701 ლარი) წლიური 0,5% იანი საპროცენტო სარგებლით.

2022 წლის გამწვავლობაში მიღებული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 9,988 ლარს (2021: 7,199 ლარი).

15. კაპიტალი

კომპანიის 100% წილის მფლობელია ვლადიმერ პატარიძე

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწედები კაპიტალსა და დაუფარვ ზარალს

საწესდებო კაპიტალი მოიცავს მფლობელის მიერ განხორციელებულ კონტრიბუციებს. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი სრულად გაზრდილი იყო ფულადი შენატანებით, ასევე ცვლილებები საწესდებო კაპიტალში 2022 და 2021 წელს მოხდა ფულადი ფორმით.

	2022	2021
საწყისი ნაშთი	16,423,368	8,103,558
ზრდა	3,728,514	10,057,826
შემცირება	(6,089,653)	(1,738,016)
საბოლოო ნაშთი	14,062,229	16,423,368

16. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,722,863	25,151	2,934,128
მიღებული ავანსი	3,499,801	62,872	20,893
სულ	5,222,664	88,023	2,955,021

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ოპერაციები მენეჯმენტთან

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები და სხვა სარგებელი	168,564	154,864

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 მაისს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მოხდა რეორგანიზაცია, რის შემდგომაც მოხდა სატრანსპორტო საშუალებების, იჯარის კეთილმოწყობისა და სხვა საოფისე აქტივების მიყიდვა დაკავშირებულ კომპანიაზე, შესაბამისად კომპანია სრულად იქნება კონცენტრირებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე. სულ გაყიდული აქტივების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,539,873 ლარს.

**შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“
მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2015 წლის 26 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404504229.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის შეძენა და მისი რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. 2021-2022 წლებში ერთჯერადად განხორციელდა ლითონის გლინულის შესყიდვა შემდგომში რეალიზაციის მიზნით.

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ტიპების მიხედვით შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან	86,645,895	16,434,016
შემოსავალი ლითონის გლინულების გაყიდვიდან	2,268,008	5,250,915
სულ	88,913,903	21,684,931

არსებული პროდუქტები, მომსახურება და ბიზნეს პროცესები

ელექტროენერგიის შესყიდვები სრულად ხორციელდება საქართველოსა ტერიტორიაზე, ხოლო რეალიზაციას ახდენს როგორც ადგილობრივ ასევე, თურქეთის ტერიტორიაზე.

კომპანიის შემოსავლები ბაზრის მიხედვით არის შემდეგი:

	2022	2021
ადგილობრივი	24,180,145	16,434,016
ექსპორტი	62,465,750	-
სულ	86,645,895	16,434,016

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი კოეფიციენტები	2022	2021
სულ შემოსავალი	88,913,903	21,684,931
სულ აქტივები	16,206,720	10,069,321
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	11	10
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.32	21.40
უკუგება აქტივებზე ROA	0.26	(0.13)
უკუგება კაპიტალზე ROE	0.31	(0.08)

თანამშრომლები: პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში იყო საშუალოდ 10 ადამიანი. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის მომწოდებლებს წარმოადგენენ ადგილობრივი ჰესები: შპს სულორჰესი, შპს ენერგო არაგვი, შპს აღმოსავლეთის ენერგიკორპორაცია, შპს ბერალი ჰესი, შპს გეოენერჯი ახმეტა ჰესი, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი შპს ჰიდრო ჯორჯია, შპს სვანეთი ჰიდრო და სხვა.

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ადგილობრივ ბაზარზე მთავარ კლიენტებს წარმოადგენენ: შპს აიტი კორპ, შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯია, შპს ორბი ჯგუფი ბათუმი, შპს პროტექ კორპორეიშენ, შპს აითილბი, სს რუსთავის აზოტი, სს საქართველოს რკინიგზა და სხვა, ხოლო იმპორტით რეალიზაციის შემთხვევაში - V DESIGN Elgreen Holding Incorporate-ს.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე დამატებით ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის და ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორის რეგულირების სფეროში. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განსაზღვრავს ელექტროენერგიის ღირებულებას.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ახალი მომხმარებლების მოზიდვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	შენიშვნა
საინვესტიციო ქონება	1,621,000	-	შენიშვნა #1
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	-	1,805,000	შენიშვნა #1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,222,664	88,023	შენიშვნა #2
შემოსავალი რეალიზაციიდან	88,913,903	21,684,931	შენიშვნა #2
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(74,325,809)	(20,796,512)	შენიშვნა #2
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(7,140,548)	(70,923)	შენიშვნა #3

შენიშვნა #1

2021 წელს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება მიწის შესყიდვაზე, რომლის შესაბამისად 2021 წელს განახორციელა წინასწარი ანგარიშსწორება. 2022 წელს ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ გამოიყენებოდა ეკონომიკურ საქმიანობაში კალსიფიცირდა როგორც საინვესტიციო ქონებად.

შენიშვნა #2

2022 წელს კომპანიამ გააფორმა მნიშვნელოვანი კონტრაქტი ელექტროენერგიის ექსპორტზე, შედეგად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ელექტროენერგიის რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. აგრეთვე, სავაჭრო ვალდებულებების ზრდა დაკავშირებულია მომხმარებლისგან მიღებულ ავანსთან.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)

შენიშვნა #3

ექსპორტის მოცულობის ზრდამ განაპირობა ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხარჯი ზრდა, შედეგად გაზრდილი რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი შესყიდვები მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,672	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელექტროენერგიის სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია სავალუტო რისკების წინაშე დგას იმ შემთხვევაში როდესაც ხორციელდება ელექტროენერგიის ექსპორტი, ადგილობრივ ბაზარზე როგორც შესყიდვები, ასევე გაყიდვები ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. კომპანიას არ აქვს სესხი, შესაბამისად, კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას რისკად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 26 სექტემბერს:

ზურაბ ანთელიძე
დირექტორი

ნანა ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. კომპანიას არ აქვს სესხი, შესაბამისად, კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას რისკად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 26 სექტემბერს:


ზურაბ ანთელიძე
დირექტორი


ნანა ქვთარაძე
მთავარი ბუღალტერი